

**საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მიერ
ორგანიზებული ღონისძიებები (2010 წლიდან დღემდე)**

1. 2010 წლის 13 ოქტომბერს ჩატარდა ქართველოლოგიის ცენტრის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიემდვნა 2009-2010 წლების „სრულიად საქართველოსა და ყოველთა ივერიელთა ერთობის ახალ ტრაქტატს“;
2. 2010 წლის 27 მაისს ქართველოლოგიის ცენტრისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილის“ ორგანიზებით ჩატარდა ცნობილი ქართველი მოღვაწის დუტუ მეგრელისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია;
3. 2011 წლის 14-15 აპრილს ქართველოლოგიის ცენტრის თანაორგანიზებით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი საქართველოს სახელმწიფო ენის დღისადმი;
4. 2011 წლის მაისში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის 2011 წლის საშობაო ეპისტოლეში გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით ქართველოლოგიის ცენტრის თანამშრომელთა აქტიური მონაწილეობით ჩატარდა ორი კონკურსი: "ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის ამსახველი ვებ-გვერდი" და ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის ამსახველი ესსე; კერძოდ, ქართველოლოგიის ცენტრის თანამშრომლებმა /ტ. ფუტკარაძე, მ. ლაბაძე, ს. ადამია, ხ. ჯანგაგაძე/ გავაანალიზეთ და დავერეთ რეცენზიები 15 საკონკურსო ვებგვერდისა და 84 ესეს შესახებ;
5. 2011 წლის 25-26 ნოემბერს ჩატარდა ქართველოლოგიის ცენტრის პირველი საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: "ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები" (მასალები დაბეჭდილია);
6. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2011 წლის ნოემბერში ქართველოლოგიის ცენტრის თანამშრომლების - დოქტ. სვეტლანა ადამიასა და დოქტ. ხატია ჯანგაგაძის - ორგანიზებით ჩატარდა შიდა საუნივერსიტეტო კონფერენცია „ფოლკლორული იუმორის ენა ქართულში“ ;
7. ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელის ორგანიზებით აკადემიკოს გურამ რამიშვილის ოჯახისაგან საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრს და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გადაეცა 100-ზე მეტი აკად. გურამ რამიშვილის პირადი

ბიბლიოთეკიდან. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გაიხსნა აკად. გურამ რამიშვილის პირადი ფონდი;

8. 2012 წლის 27-30 ნოემბერს ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა ქართულ-ირანული II საერთაშორისო კონფერენცია „ქრისტიანობა და ირანი“ (მასალები დაბეჭდილია);
9. 2012 წლის ივლისში ქართველოლოგიის ცენტრის მიერ ორგანიზება გაუკეთდა საზაფხულო "ქართველოლოგიურ სკოლას";
10. 2012 წლის 7-8 აპრილს ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელის ინიციატივითა და ორგანიზებით, ასევე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის "ქართული ენის წრის" წევრი სტუდენტებისა და ქართული ენის მიმართულების პროფესორების (ი. ღუტიძე, მ. ბერიძე) მონაწილეობით ახალციხის უნივერსიტეტში ჩატარდა საქართველოს სახელმწიფო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია;
11. 2012 წლის 17-18 ნოემბერს ქართველოლოგიის ცენტრის (ტ. ფუტკარაძე, რ. შეროზია, ს. ადამია) ორგანიზატორობით (ზუგდიდის უნივერსიტეტთან ერთად) ზუგდიდის მესხიას სახელობის უნივერსიტეტში ჩატარდა ბაკალავრიატის სტუდენტთა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია;
12. 2012 წლის 17-18 ნოემბერს ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრისა და "ქართული ენის წრის" ორგანიზებით მორიგი ქართველოლოგიური ექსპედიცია /სახელწოდებით: "შოკოლადის ხე"/ საქართველოს ულამაზეს კუთხეში - სამეგრელოში განხორციელდა. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის III- IV კურსის სტუდენტები;
13. 2012-2013 სასწავლო წელს ა(ა)იპ `საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის` რექტორის პროფ. სერგო ვარდოსანიძის ბრძანებით უნივერსიტეტში შეიქმნა **"უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთათვის ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის შემსწავლელი ინტენსიური კურსები"**; "ინტენსიურ კურსებში" ქართული ენის სწავლებას კოორდინირებას უწევს ქართველოლოგიის ცენტრი;
14. ქართველოლოგიის ცენტრის თანამშრომელთა მონაწილეობით (მ. ლაბაძე) გადაღებულ იქნა დოკუმენტური ხასიათის ფილმი "შურიშინე"; ფილმში ასახულია თანამედროვე ლაზი მომღერლების შემოქმედება. ფილმის პრეზენტაცია შედგა "ქართულ უნივერსიტეტსა" და ზუგდიდში.

15. 2013 წლის 15 იანვრიდან 25 აპრილამდე აჭარაში, ხელვაჩაურის რ-ნის სოფლებში - სარფსა და კვარიათში მ. ლაბაძემ და ი. თანდილაევამ მოიპოვეს ლაზური გაბმული მეტყველებისა და ფოლკლორის ნიმუშები /მასალა შენახულია აუდიო და ვიდეო ჩანაწერების სახით/;
16. ქართველოლოგიის ცენტრის თანამშრომელთა (ტ. ფუტკარაძე, ს. ადამია, მ. ლაბაძე) აქტიური მონაწილეობით მომზადა 2013 წლის 14 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
17. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის მიმართულების ორგანიზებით შედგა შეხვედრა სოჭელ (პლასტუნკელ) ქართველთა წარმომადგენელთან რაულ ჯინჭარაძესთან და მას დახმარება გაეწია ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებით;
18. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით მომზადდა შეხვედრა ირანის პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარესთან ბ-ნ მოჰამადალი ასფანანთან (ფანიაშვილთან), ასევე, ირანისა და თურქეთის ელჩებთან; შეხვედრებზე განხილულ იქნა ქართული ენის სწავლების საკითხი ირანსა და თურქეთში;
19. 2014 წლის 11-12 აპრილს ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა მესამე საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ქართული სალიტერატურო ენის სწავლება საქართველოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისა და სხვა ქვეყნების მოქალაქეთათვის: შედეგები, პრობლემები, პერსპექტივები“. (მასალები დაბეჭდილია);
20. 2014 წლის 28-29 მაისს დიასპორის დღეების ფარგლებში ჩატარდა ქართველოლოგიის ცენტრის მეოთხე სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: “ირანის ქართველები: ისტორია და პერსპექტივები“ (მასალები დაიბეჭდა);
21. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით შედგა შეხვედრა თურქეთელ ქართველებთან: გალიფ აიდინთან, სოსო ჩივაძესთან, ოსმან ქაიასთან და აიჰან მანიძესთან და მათ დახმარება გაეწიათ ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებით;
22. 2014 წლის 19 ნოემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის მიმართულების ორგანიზებით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: "ენასთან

დაკავშირებული საკანონმდებლო საკითხები და ენობრივი პოლიტიკა საქართველოში".

23. 2014 წლის 1 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა კონფერენცია თემაზე: "აფხაზოლოგიის ძირითადი პრობლემები თანამედროვე დისკურსში".
24. 2014 წელს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით ქართული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე შეხვდა პროფ. ნიგარ დემირჯან-ჩაქარს - დუზჯეს უნივერსიტეტის პრორექტორს და პროფ. ილჰან გენჩს - დუზჯეს უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანს; მოხდა შეთანხმება ქართული ენის სწავლებისა და გაცვლითი პროგრამების შესახებ;
25. 2011-13 წლებში ცენტრის თანამშრომელი ი. თანდილავა მუშაობდა თურქეთის რესპუბლიკის რიზესა და ართვინის ილებში (ოლქებში) ლაზური ტექსტებისა და ლექსიკური მასალის მოსაპოვებლად;
26. ცენტრის თანამშრომელმა თამარ ლომამემ 2014 წლის 8-10 მაისს მონაწილეობდა ვარშავაში (პოლონეთი) მიმდინარე ლინგვისტიკის III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში, რომელიც ვარშავის, ლოდისა და ნოტინგემის უნივერსიტეტების მიერ იყო ორგანიზებული. წაიკითხა მოხსენება თემაზე „პიარის ენობრივი თავისებურებები ქართულ სინამდვილეში“, რომელშიც განხილული იყო ქართული ენისა და საზოგადოების მზაობა პიარის, როგორც ახალი ინსტიტუტის, მიღების პროცესში, პიარის გამოყენება საერთაშორისო საინფორმაციო ომის წარმართვისას და წინასაარჩევნო კამპანიის კონტექსტში. ამავე სპეციალისტმა მოიპოვა ერაზმუს მუნდუსის სტიპენდია და 2014 წლის აგვისტოდან არის შვედეთში, მალმოს უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის ცენტრში სადოქტორო დისერტაციის თემასთან დაკავშირებულ საკითხებზე სამუშაოდ;
27. 2014 წლის ოქტომბერში ქართველოლოგიის ცენტრის თანამშრომელთა ორგანიზებითა და აქტიური მონაწილეობით მოეწყო დიალექტოლოგიური ექსპედიცია ხევსურეთში (მონაწილეობდნენ ქართული უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტები);
28. 2013-2016 წლებში ცენტრის თანამშრომელი სოფიო კეკუა მუშაობდა ქართულ-აფხაზური ენობრივი ურთიერთობისა და გალის რაიონში არსებული თანამედროვე

ტოპონიმიკური ტენდენციების საკითხებზე; ასევე, ოკუპირებულ გალის რაიონში აგროვებდა ტექსტურ და ტოპონიმიკურ მასალას;

29. 2015 წლის დასაწყისში ქართველოლოგიის ცენტრში გამოსაცემად მომზადდა ბათირა არაბულის წიგნი „მითებში შობილთა მემკვიდრე“, 22 აპრილს წიგნის პრეზენტაცია გაიმართა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში;
30. 2015 წლიდან ქართველოლოგიის ცენტრი პერიოდულად ორგანიზებას უწევს ქართველ და უცხოელ მკვლევრებთან შეხვედრებს. კერძოდ, ქართულ უნივერსიტეტს ხშირად სტუმრობენ საქართველოსა და უცხოეთში მოღვაწე ქართველი და არაქართველი მკვლევარები. კერძოდ, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ინიციატივით 2015 წლის 13 იანვარს ქართული უნივერსიტეტის წმიდა ილია მართლის სახელობის სხდომათა დარბაზში შეხვედრა შედგა ცნობილ ქართველ ენათმეცნიერთან პროფესორ თედო უთურგაიძესთან. შეხვედრას ესწრებოდნენ ჰუმანიტარული და სამართლის სკოლის (ფაკულტეტის) სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. შეხვედრა გახსნა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ, რექტორმა სერგო ვარდოსანიძემ, რომელმაც ისაუბრა აკად. თედო უთურგაიძის შესახებ. მოწვეულმა სტუმარმა საინტერესოდ ისაუბრა ენათმეცნიერების ცალკეული პრობლემების შესახებ და უპასუხა სტუდენტთა საინტერესო შეკითხვებს;
31. 2015 წლის 30 აპრილს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ მიიღო ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის სტუმარი, ამერიკელი პროფესორი ქევინ თუითი, რომელიც ამავე დროს არის იენის უნივერსიტეტის (გერმანია) კავკასიოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი. შეხვედრას ესწრებოდა ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე. საუბარი შეეხო ქართველოლოგიის, ზოგადად, კავკასიოლოგიის ცენტრების მდგომარეობას საზღვარგარეთ. ითქვა, რომ რეალური საფრთხე ემუქრება ქართველოლოგიურ კვლევებზე ორიენტირებულ ისეთ ტრადიციულ ცენტრსაც კი, როგორც არის იენის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის განყოფილება;
32. ქართველოლოგიის ცენტრმა ორგანიზება გაუკეთა 2015 წლის 9 აპრილის საღამოს; 2015 წლის 14 აპრილს კი ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა 14 აპრილისადმი - საქართველოს სახელმწიფო ენის დღისადმი - მიძღვნილ კონფერენცია „სახელმწიფო ენა საუნივერსიტეტო კურსებსა და სახელმძღვანელოებში“;

33. 2015 წლის 28-29 მაისს, დიასპორის დღეების ფარგლებში ჩატარდა ქართველოლოგიის ცენტრის V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „თურქეთელი ქართველები: ისტორია და პერსპექტივები“ (მასალები მზადაა გამოსაცემად);
34. 2015 წელს ჩატარდა ქართველოლოგიის ცენტრის მიერ ორგანიზებული დისკუსია თემაზე: ენა და პოლიტიკა ოკუპირებულ აფხაზეთში (მთავარი მომხსენებელი: პროფ. თეიმურაზ გვანცელაძე);
35. გამოსაცემად მომზადდა „ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები IV“; (გვერდების რაოდენობა: 130, A4 ფორმატი);
36. 2015 წელს ჩატარდა დიალექტოლოგიური ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში;
37. 2015 წლის 3-5 ოქტომბერს ქართველოლოგიის ცენტრის თანამშრომელთა ორგანიზებითა და აქტიური მონაწილეობით მოეწყო დიალექტოლოგიური ექსპედიცია ხევსურეთში (მონაწილეობდნენ ქართული უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტები);
38. 2015 წელს ქართველოლოგიის თანამშრომელთა მიერ მომზადდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარსადგენი საკონფერენციო საგრანტო პროექტი „აზერბაიჯანში მცხოვრები ავტოქთონი ქართველები: ისტორია და პერსპექტივები“. (სამწუხაროდ პროექტი არ დაფინანსდა);
39. 2015 წელს საგრანტო კონკურსის „საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევებისათვის“ ფარგლებში შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდში წარდგენილი გვექონდა ქართველოლოგიის ცენტრის პროექტი „მუჰაჯირ ქართველთა და აფხაზთა შთამომავლების მეტყველება და ფოლკლორი“ (სამწუხაროდ პროექტი არ დაფინანსდა).
40. 2016 წლის 12 აპრილს ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით ქართული სახელმწიფო ენის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა თამაზ ჯოლოგუას საჯარო ლექცია დიმიტრი ყიფიანზე;
41. 2016 წლის 12 აპრილს გაიმართა მანანა ტაბიძის მონოგრაფიის: "სოციოლინგვისტიკა" პრეზენტაცია.
42. 2016 წლის 13 აპრილს ქართული სახელმწიფო ენის კვირეულის ფარგლებში შედგა რევაზ შეროზიას და მიხეილ ლაბაძის წიგნის: "ხალხური სიბრძნე II: მეგრული და

ლაზური იდიომები" პრეზენტაცია და მოეწყო შეხვედრა პროფესორებთან: რამაზ პატარიძესთან და გურამ ცერცვაძესთან;

43. 2016 წლის 14 აპრილს ქართული სახელმწიფო ენის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა ქართველოლოგიის ცენტრის VI სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის აქტუალური პრობლემები“;
44. 2016 წლის აგვისტოში ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელის უშუალო მონაწილეობით მოეწყო დიალექტოლოგიური ექსპედიცია ტაოში;
45. 2016 წლის 21 სექტემბერს, ქართული უნივერსიტეტის წმიდა ილია მართლის სახელობის საკონფერენციო დარბაზში „მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი 2016“-ის ფარგლებში პროფესორმა ტარიელ ფუტკარაძემ წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „ ქართველოლოგიის ახალი გამოწვევები, ქართული ენის ტექნოლოგიზება, ქართველთა ეთნიკურ-ენობრივი ერთიანობა საინფორმაციო ომის კონტექსტში, ქართული ენის სწავლება საზღვარგარეთ“.
46. 2016 წლის 20 ოქტომბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით მოეწყო შეხვედრა მოეწყო ირანელ ქართველებთან, რომლებიც ერთი წლის მანძილზე ისწავლიან ქართულ უნივერსიტეტში ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიას. შეხვედრაზე მოწვეულნი იყვნენ საქართველოს დიასპორის მინისტრის მოადგილე ბატონმა ზაალ სარაჯიშვილი, ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩის მრჩეველი ბატონმა აბას რეზაფული და წარმომადგენლები საელჩოდან;
47. 2016 წლის 28 ოქტომბერს, ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: "მრავალპარტიული არჩევნები (1990 წლის 28 ოქტომბერი)";
48. 2016 წლის ნოემბერში ქართველოლოგიის ცენტრის თანამშრომელთა ორგანიზებითა და აქტიური მონაწილეობით მოეწყო დიალექტოლოგიური ექსპედიცია ხევსურეთში (მონაწილეობდნენ ქართული უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტები);
49. 2016 წლის 10 ნოემბერს ქართული უნივერსიტეტის პროფესორ მანანა ტაბიძისა და ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისის საშუალო სკოლაში გაიმართა ქისტების დიდი განმანათლებლის, პანკისის ხეობაში პირველი ქართული საშუალო სკოლის დამაარსებლის, უსუფ მარგომვილის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც დაამშვენა მისი

შვილიშვილის, პროფესორ ბელა შავხელიშვილის მიერ შედგენილმა წიგნმა: "რასაც დათეს..."

50. 2016 წლის 18 ნოემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ქართველოლოგიის ცენტრის მონაწილეობით გაიმართა ქართული უნივერსიტეტის II სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელმა პროფესორმა ტარიელ ფუტყარაძემ და თანამშრომლებმა: თეიმურაზ გვანცელაძემ, მიხეილ ლაბაძემ, სოფიო კეკუამ და სვეტლანა ადამიამ.
51. 2016 წლის 24 ნოემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წმიდა ილია მართლის სახელობის სხდომათა დარბაზში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ქართველოლოგიის ცენტრის ინიციატივით გაიმართა შეხვედრა პოლიტოლოგიის დოქტორ, პროფესორ სტივენ ჯონსთან, რომელმაც წაიკითხა ლექცია თემაზე: "2016 წლის 8 ნოემბრის არჩევნები ამერიკის შეერთებულ შტატებში და საქართველოს პერსპექტივები".
52. 2016 წლის 29 ნოემბერს ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით ქართული უნივერსიტეტის წმიდა ილია მართლის სახელობის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა შეხვედრა მანგლისისა და წალკის ეპარქიის მიტროპოლიტ, მეუფე ანანიასთან (ჯაფარიძე) - „მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე) - მღვდელმთავრობიდან 35 წელი“
53. 2016 წლის 9 დეკემბერს, ქართული უნივერსიტეტის წმიდა ილია მართლის სახელობის საკონფერენციო დარბაზში საქართველოს საპატრიარქოს ფონდ „ლაზარეს" საგრანტო პროექტის „საერთო წარსული და მომავალის" ფარგლებში ქართველოლოგიის ცენტრის მკვლევარმა, პროფესორმა თეიმურაზ გვანცელაძემ თბილისის 83-ე სკოლის დევნილი მოსწავლეებისთვის ისაუბრა აფხაზურ-ქართულ ურთიერთობებზე, საერთო წარსულსა და მომავლის პერსპექტივაზე.
54. 2016 წლის 13-14 დეკემბერს, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა VII სამეცნიერო კონფერენცია „შოთა რუსთაველი - 850“. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ლიტერატურათმცოდნეები, ენათმეცნიერები და ფსიქოლოგები. საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად ქართულ უნივერსიტეტში „ვეფხისტყაოსნის“ იშვიათი გამოცემების გამოფენა მოაწყო საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ. კონფერენციის პარალელურად ქართულ უნივერსიტეტსა და ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

55. 2016 წლის 20 დეკემბერს, ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წმიდა ილია მართლის სახელობის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა სტუდენტური კონფერენცია „ხევსურეთი 2016“ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ფილოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტებმა, რომლებიც 2016 წლის 5-6 ნოემბერს დიალექტოლოგიური ექსპედიციით იმყოფებოდნენ ხევსურეთში.

56. 2016 წლის 6 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წმიდა ილია მართლის სახელობის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა ჰუმანიტარული მეცნიერებისა და სამართლის ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი. მოხსენება წაიკითხა ფილოლოგიის დოქტორმა ნათია იაკობიძემ, რომელმაც მსმენელს გააცნო ანგელა ლინკეს „გენერაციული გრამატიკისა“ (2010) და ბეატრის ლინკესა და ენტონი კროხის „ბუნებრივი ენის სინტაქსის“ (2012) ძირითადი პრინციპები. სემინარში მონაწილეობდნენ ქართული უნივერსიტეტისა და სოხუმის უნივერსიტეტის დოქტორანტები; ასევე, ბაკალავრიატის სტუდენტები. სემინარში სტუდენტთა დისკუსია შეაჯამეს პროფესორებმა მანანა ტაბიძემ და ტარიელ ფუტყარაძემ. ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარის მნიშვნელობაზე ისაუბრა ჰუმანიტარული მეცნიერებისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ პროფესორმა ლევან ჯიქიამ. სემინარის მუშაობა შეაფასა ქართული უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ.

57. 2017 წლის 17 იანვარს ქართული უნივერსიტეტის წმიდა ილია მართლის სახელობის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა ჰუმანიტარული მეცნიერებისა და სამართლის ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი. მოხსენება „მანქანური თარგმანის ისტორია და დღეს არსებული პრობლემები“ წაიკითხა ქართველური ენათმეცნიერების მიმართულების დოქტორანტმა მანანა ხვინგიამ.

58. მოხსენების შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდნენ სემინარში ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტები: სოფიო კეკუა, ირინა იაკობიძე, კესო გეჯუა, ანა მოდებაძე, იამზე ფუტყარაძე, ნინო მალრაძე, ფილოლოგიის დოქტორები: მიშა ლაბაძე, ნათია იაკობიძე, პროფესორები: მანანა ტაბიძე, ტარიელ ფუტყარაძე და თეიმურაზ გვანცელაძე.

59. 2017 წლის 31 იანვარს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის

სკოლის ქართველოლოგიის ცენტრის ინიციატივით წმიდა ილია მართლის სახელობის სხდომათა დარბაზში გაიმართა საინტერესო შეხვედრა ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორ, ქართველოლოგ ჰიროტაკე მადეასთან.

60. 2017 წლის 28 თებერვალს ქართული უნივერსიტეტის წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა ჰუმანიტარული მეცნიერებისა და სამართლის ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი. მოხსენება „ქართული ენის სწავლება სკოლაში“ წაიკითხა ქართველური ენათმეცნიერების მიმართულების დოქტორანტმა შორენა ცაბაძემ. მოხსენებელმა ისაუბრა სკოლაში არსებული სახელმძღვანელოების: 1. შპს "გამომცემლობა მერიდიანი" თანაავტორები: ნათელა მაღლაკელიძე, ელენე მაღლაკელიძე, ცისანა ყურაშვილი, ნანა ღონდაძე; 2. შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი" თანაავტორები: ნინო გორდელაძე, გვანცა ჩხენკელი, თინათინ კუხიანიძე; 3. შპს "გაზეთი საქართველოს მაცნე" და შპს "საგამომცემლო სახლი სწავლანი" თანაავტორები: ვახტანგ როდონაია, მარიამ მირიანაშვილი, ქეთევან თოფაძე, ლალი ვაშაკიძე, ავთანდილ არაბული, ნინო ნაკუდაშვილი, მარინე ხუციშვილი, ენგურ ქურციკიძე - ღირსება-ნაკლოვანებებზე და მიმოიხილა იამზე ვაშაკიძის დამხმარე სახელმძღვანელო სკოლის მასწავლებელთათვის - „ქართული ენის პრაქტიკული კურსი და აკადემიური წერის საფუძვლები“.

61. 2017 წლის 14 მარტს ქართული უნივერსიტეტის წმიდა ილია მართლის სახელობის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა ჰუმანიტარული მეცნიერებისა და სამართლის ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი. ცენტრის მკვლევარმა, ფილოლოგიის დოქტორმა მიხეილ ლაბაძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ლაზურ კილოთა შესწავლა თანამედროვე თურქეთში და მათი კოდიფიცირების ცდები“. მოხსენებელმა მიმოიხილა თურქეთში გამოცემული ლაზური ლექსიკონები, ლაზურ კილოთა გრამატიკები და აღნიშნა, რომ თურქეთის მოქალაქე ლაზები უფრო მეტად და მეტად ინტერესდებიან თავიანთი იდენტობის მარკერებით. საკმარისი ინფორმაციის არქონის გამო, მათი დიდი ნაწილი დღეს თავს თვლის ქართველთაგან დამოუკიდებელ ეთნოსად, მცირე კი ნაწილი აცნობიერებს იმას, რომ როგორც კულტურულად, ისე ენობრივადაც მათ ქართულ სამყაროსთან უფრო მჭიდრო კავშირი აქვთ. საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებში მცხოვრები ლაზებისაგან განსხვავებით, აკადემიური განათლების დეფიციტის გამო, თურქეთში ძალიან ცოტაა ისეთი ლაზების რიცხვი, რომლებიც ენობრივ-კულტურულად ქართველებად მიიჩნევენ თავს.

62. 2017 წლის 16 მარტის ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული

უნივერსიტეტის წმიდა ილია მართლის სახელობის სხდომათა დარბაზში გაიმართა ამირან არაბულის წიგნის „ისევ სულუქცევრად საკითხავნი“ წარდგინება.

63. 2017 წლის 22 მარტს ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წმიდა ილია მართლის სახელობის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა მწერლის, პროფესორ გიორგი სოსიაშვილის ახალი წიგნების: "თეთრი ქალაქი", "წითელი უდაბნო", "დიცის წარწერები" წარდგენა.
64. 2017 წლის 25 აპრილს, ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით, ქართული უნივერსიტეტის წმიდა ილია მართლის სახელობის საკონფერენციო დარბაზში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, გიორგი ღვთაძემ, წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „საუნივერსიტეტო განვითარების გამოწვევები თანამედროვე საქართველოში“;
65. 2017 წლის 16 მაისს ქართული უნივერსიტეტის წმიდა ილია მართლის სახელობის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა ჰუმანიტარული მეცნიერებისა და სამართლის ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი. მოხსენება "ქართული საგალობლებისა და აზერბაიჯანული მარსიების შეპირისპირებითი ანალიზი (გლოვის ჟანრი)" წაიკითხა ცნობილმა პუბლიცისტმა და მთარგმნელმა ოქტაი ქაზუმოვმა. მომხსენებელმა ძალზე საინტერესოდ მიმოიხილა ქართული საგალობლებისა და აზერბაიჯანული მარსიების მსგავსება-განსხვავებანი: აღნიშნა, რომ საგალობლისაგან განსხვავებით, მარსია ერთმნიშვნელოვნად გლოვის ჟანრს განეკუთვნება და ამდენად, მასში საგალობლისათვის დამახასიათებელი საზეიმო განწყობა თითქმის არ გვხვდება. არაბულ ქვეყნებში ის ძველთაგანვე დადგენილ სალექსო ფორმებში (მაგ. ყაზალი) იწერებოდა და რითმა და რიტმი შესაბამისი ჰქონდა. ამასთან, არსებობს როგორც ისლამური, ისე ისლამამდელი (ე.წ. „ჯაჰილიის“ ანუ უმეცრების ხანის) მარსიები. აზერბაიჯანში მარსიები ყაზალების გვერდით, საერთოთურქული პოეზიისათვის მშობლიური სალექსო ფორმით – ყოშმებითაც იწერებოდა. აზერბაიჯანული მარსიაც ისევე, როგორც არაბული, ცალსახად გოდების გამომხატველი ლექსია. მოხსენების შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართული უნივერსიტეტის პროფესორები: მანანა ტაბიძე, ტარიელ ფუტყარაძე; დოქტორანტები: სოფიო კეკუა, ირინა იაკობიძე, ნატო ბერიძე, მანანა ხვინგია; ფილოლოგიის დოქტორები: მიშა ლაბაძე, სვეტა ადამია, ნათია იაკობიძე, ნათია ჩინჩალაძე; მაგისტრანტები: ანა დოლაშვილი, გაბრიელ თაგაური; სტუდენტები: ნანა აფციაური, ნათია სუბელიანი.
66. 2017 წლის 25 მაისს, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წმიდა ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზში

გაიმართა შეხვედრა პანკისის ხეობის უხუცესთა საბჭოს წევრებთან. უნივერსიტეტს ესტუმრნენ: ზელიმხან წუწაშვილი, პანკისის ხეობის უხუცესთა კავშირის თავმჯდომარე; ზაურ გუმაშვილი, პანკისის ხეობის უხუცესთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე; ელიზბარ მაროშვილი, პანკისის ხეობის უხუცესთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე; ხასო ხანგოშვილი, პანკისის ხეობის უხუცესთა კავშირის გამგეობის წევრი.

67. 2017 წლის 27, 28 და 29 სექტემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ენობრივი სიტუაცია კავკასიაში“. კონფერენცია ჩატარდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2017-ის“ ფარგლებში.

68. 2017 წლის 31 ოქტომბერს, წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, წმიდა ილია მართლის სახელობის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი. სემინარზე განხილულ იქნა დოქტორანტ ბაკურ გოგობიას წიგნი „ლაზური გვარსახელები“. მოხსენება წიგნის შესახებ წარმოადგინა ფილოლოგიის დოქტორმა მიხეილ ლაბაძემ. წიგნის განხილვას დაესწრო ავტორი.

69. 2017 წლის 21 ნოემბერს, წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში წმიდა ილია მართლის სახელობის დარბაზში ჩატარდა ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი. დოქტორანტმა მაგდა ჭიქაბერიძემ წარმოადგინა მოხსენება „ქართლის სოფელი სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებების მიხედვით“. ოპონენტი: ლევან ბებურიშვილი.

70. 2017 წლის 18 დეკემბერს, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წმიდა ილია მართლის სახელობის საკონფერენციო დარბაზში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ევრაზიის განყოფილების მეცნიერთანამშრომელმა პროფ. ჯონი აფაქიძემ წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: კოლხური კულტურის ბრინჯაოს მეტალურგია და განძების ფენომენი (მახასიათებლები და გავრცელების არეალი).

71. 2017 წლის, 19 დეკემბერს, ქართული უნივერსიტეტის წმიდა ილია მართლის სახელობის საკონფერენციო დარბაზში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის (ფაკულტეტის) ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა

დისკუსია თემაზე: „ვინ და როდის შექმნა ქართული ანბანი“. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის (ფაკულტეტის) ფილოლოგიის მიმართულების I კურსის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა.

72. 2017 წლის 19 დეკემბერს, წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტის წმიდა ილია მართლის სახელობის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი. დოქტორანტმა ლიკა ოთინაშვილმა წარმოადგინა მოხსენება „მორფოლოგიურ-სინტაქსური ანალიზატორი და ქართული ტექსტების კორპუსი“.
73. 2018 წლის 5 მარტს, ორშაბათს ქართული უნივერსიტეტის წმინდა ილია მართლის სახელობის სხდომათა დარბაზში ჩატარდა ქართველოლოგიის ცენტრის ტრადიციული მუდმივმოქმედი სემინარი, რომელზეც ცენტრის ხელმძღვანელმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ტარიელ ფუტყარაძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ტერმინოლოგიური შეცდომები ბათუმის მხარისა და ბათუმის ოლქის შესახებ 1918-1921 წლებში შექმნილ ოფიციალურ დოკუმენტებში“.
74. 2018 წლის 11 აპრილს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა ფილოლოგიის დოქტორის - ლევან ბებურიშვილის - საჯარო ლექცია თემაზე: „ქართული ენა - საერთაშორისო ენა: ენის ფუტუროლოგიური კონცეფცია და გალაკტიონ ტაბიძე“.
75. 2018 წლის 17-19 აპრილს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წმიდა ილია მართლის სახელობის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ქართველოლოგიის ცენტრის მიერ ორგანიზებული IX სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება სკოლაში“. კონფერენცია მიემდგნა საქართველოს სახელმწიფო ენის დღეს - 14 აპრილს.
76. 2018 წლის 10 მაისს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში წმიდა ილია მართლის სახელობის დარბაზში გაიმართა ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფ. ტარიელ ფუტყარაძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე "ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები".

77. 2018 წლის 22 მაისს ქართულ უნივერსიტეტს ესტუმრა ცნობილი მუსიკოსი, თურქეთელი ქართველი ბაიარ შაჰინი-გუნდარიძე. წმიდა ილია მართლის სახელობის სხომათა დარბაზში გაიმართა შეხვედრა ქართული უნივერსიტეტის სტუდენტებთან, სტუმარს მიესალმნენ: ქართული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ქართველოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე, ფერეიდნელი ქართველი საიდ მულიანი, სტუმარმა მადლობა მოახსენა მასპინძლებს გულთბილი მიღებისათვის და სტუდენტებთან ერთად შეასრულა ქართული ხალხური სიმღერები... შეხვედრა დასრულდა უკვდავი "სულიკოს" ერთობლივი შესრულებით.
78. 2018 წლის მაის-ივლისში ქართველოლოგიის ცენტრმა გამოსაცემად მოამზადა "ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემების" მე-6 ტომი.
79. 2018 წლის 27 სექტემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წმიდა ილია მართლის სახელობის საკონფერენციო დარბაზში, საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებული „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი - 2018“ - ის ფარგლებში ჩატარდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ქართველოლოგიის ცენტრის მიერ ორგანიზებული X სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „**პავლე ინგოროყვა - 125**“.
80. 2018 წლის 6 ნოემბერს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში წმიდა ილია მართლის სახელობის დარბაზში გაიმართა ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი. ვასილ ტროშინმა წარმოადგინა მოხსენება "ოთხენოვანი (ქართულ-ინგლისურ-რუსულ-სომხური) ლექსიკონის მონაცემთა ბაზა (ლექსიკა-ფრაზეოლოგიზმები)".
81. 2018 წლის 22 ნოემბერს, ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, წმიდა ილია მართლის სახელობის საკონფერენციო დარბაზში (IV სართული) ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა გამორჩეულ პოეტ თემურ ჩალაბაშვილთან.
82. 2018 წლის 27 ნოემბერს, ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, წმიდა ილია მართლის სახელობის საკონფერენციო დარბაზში (IV სართული) ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა ავთანდილ ნიკოლეიშვილთან, რომელმაც წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „საქართველო: აზია თუ ევროპა (ქართველ მწერალთა თვალთახედვით)“.

83. 2018 წლის 20 დეკემბერს, ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, წმიდა ილია მართლის სახელობის საკონფერენციო დარბაზში (IV სართული) გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის, ბატონ ზაურ ქობალიას წიგნის „დაბრუნება დაბადებაში“ განხილვა.

84. 2018 წლის 27 დეკემბერს, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, 205-ე აუდიტორიაში (I კორპუსი), ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ფილოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები შეხვდნენ ემერიტუს პროფესორ ჟუჟუნა ფეიქრიშვილს.